პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ დეკემბერი, 2019 წელი **ქალაქი ბათუმი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს
ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს (ს/კ №245426490) ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს
ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს (ს/კ245426490) ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. დღეის მდგომარეობით სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება კომპონენტის განმახორციელებელია ქალაქ ბათუმის/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის შპს „ბათუმის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი“. დადგეგმილი რეორგანიზაციის ფარგლებში, დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ქ.თბილისის. ქ. ბათუმის და დაბა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, „სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“-ს კომპონენტის განმახორციელებლად და მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვროს უშუალოდ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, რაც საშუალებას მისცემს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით გადაიდგას ნაბიჯები ოპერატიულად, როგორც შემდგომში ერთი სამსახურის მიერ მართული პროცესის ჭრილში. რიგი რეგულაციები, სისტემური მიდგომები და მართვის პრინციპები სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისთან მიმართებაში იქნება ერთნაირი, რაც აღნიშნული მიმართულებით მაღალი სტანდარტის დანერგვას შეუწყობს ხელს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს (ს/კ245426490) ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების პროექტის მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის ხარჯის გაწევა.

ზ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარკულების პროექტის მიხედვით, ლიკვიდაციის პროცესის შედეგად მცირდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი (2020 წლიდან შპს „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ დაფინანსებას აღარ უზრუნველყოფს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი)

ზ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღებისას საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში თავოისუფლდება ფინანსური სახსრები.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია შპს „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

ვ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

შპს „სასწრაფო-სამედიცინო
დახმარების ცენტრი“-ს დირექტორი **მინდია კახიძე**